პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 7 ივნისი, 1949 წ. № 112 (8415). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

დიდი რუსი ხალხის დიდება და სიამაყე — „პრავდის“ 6-VI მოწინავე (1-ლი გვერდი).

ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა (1-ლი გვერდი).

მოსკოვის მშრომელთა მიტინგი დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

თ. კუნჭულია — ბუნების დიდი გარდამქმნელი (მე-2 გვერდი).

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის (მე-3 გვერდი).

ალიო ადამია — ცხოვრება ახალ მიწაზე (მე-3 გვერდი).

მეტი ყურადღება ნარგავების მოვლას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

დიდი რუსი ხალხის დიდება და სიამაყე

დღეს 150 წელი სრულდება დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის დაბადებიდან.

ეს საიუბილეო თარიღი ნამდვილ საყოველთაო სახალხო დღესასწაულად იქცა. პუშკინის იცნობენ და უყვართ საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში. პუშკინს დიდად აფასებს მთელი მოწინავე კაცობრიობა. მშრომელთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა პუშკინი მოიხსენია დიდი რუსი ერის ყველაზე გამოჩენილ შვილებთან ერთად, რომლებიც ჩვენი ხალხის დიდებას, მის პატრიოტულ სიამაყეს შეადგენენ.

რით არის ასე ძვირფასი ჩვენთვის პუშკინი? რატომ ასეთი სიყვარულით სცემს პატივს მის ხსოვნას მილიონობით საბჭოთა ადამიანი?

პუშკინი რუსული მხატვრული ლიტერატურის მამამთავარი იყო. მის შემოქმედებაში, წერდა მ. გორკი, „იგრძნობა რაღაც ვულკანისებური, საუცხოო შეხამება მგზნებარებისა და სიბრძნისა, ცხოვრების მოახლოვება სიყვარულისა და ცხოვრების უხამსობის! მკვეთრი დაგმობისა, მის სათუთ სინაზეს არ ეშინოდა სატირული ღიმილისა, და იგი მთლიანად სასწაულია.“ პუშკინი რუსული ლიტერატურის იმ რეალისტური მიმართულების ფუძემდებელია, რომელიც ამ ლიტერატურის ყველაზე დამახასიათებელ, ყველაზე ძლიერ და ხალხისადმი ყველაზე მახლობელ მხარეს შეადგენს. ბელინსკის შესანიშნავი გამოთქმით, იგი იყო „თავისი დროის არა მარტო დიდი რუსი პოეტი, არამედ აგრეთვე ყველა ხალხისა და ყველა საუკუნის დიდი პოეტიც, ევროპის გენიოსი, მსოფლიოს დიდება...“

მაგრამ პუშკინი ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ძვირფასია არა მარტო როგორც დიდი მხატვარი. იგი ჩვენთვის უწმინდესი ყოფილია ძვირფასია თავისი პროგრესული იდეებით, თავისი თავისუფლებისმოყვარეობით, თავისი ჭეშმარიტებით. მიუხედავად იმისა, რომ მისი იდეები „განთლებული თავადაზნაურობის“ იდეებს არ გასცილებია, პუშკინი ეკუთვნოდა თავისი საზოგადოების ყველაზე პროგრესულ წრეებს — იმ წრეებს, რომლებმაც რუსეთის ეკონომიკური მესვეს.

ლენენ „ეროვნულ“ თავადაპირველ ტექსტში ბოლშევიკობთ შემდეგ მგზნებარე სტრიქონებს, რომლებიც გვიხატავენ პოეტის თავისუფლებისმოყვარე მსოფლმხედველობას:

> არ დაივიწყებს დიდხანს ხალხი ჩემს
> ერთგულებას,
> რადგან ვიქადაგე სამღერელთადმი ახალი
> ხმელი,
> რადგან შეეწყალებინ მე ვადიდე თავისუფლება
> და სათნოებას მე ვემღერიოდი.

პუშკინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ძის სამშობლოში ამობრწყინებოდა თავისუფლების მომხიბლავი ბედნიერების ვარსკვლავი, როცა „რუსეთი აღდგებოდა გაღვიძებული“, როცა „თვითხებობის ტახტის ნანგრევზე“ შთამომავალნი დასწერდნენ იმათ სახელს, ვინც „სასოებით მოეოოოდა წმიდა თავისუფლების ქალს“.

დეკაბრისტთა ჯგუფის ციმბირს გასახლების შემდეგ პუშკინი მათ ლექსად სწერს მიმართავს, რომლითაც მოუწოდებს მათ, ყოველივეს მიუხედავად, სწამდეთ თავიანთი იდეალების გამარჯვება. სწამდეთ, რომ დადგება დრო, როცა

> დაინგრევიან საპყრობილენი,
> ბატყვდება ძმიმე ხელფეხის ბალალი,
> მოგიღებთ ლაკი თავისუფლება,
> და მოგერთმევათ ძმებისაგან ხმალი.

და დეკაბრისტებმა უპასუხეს პუშკინს, რომ მისი „სიმების მგზნებარე ხმებმა მიაღწიეს მათ ყურამდე“, რომ საპყრობილის ცხრაკლატულში ისინი გულში დასცინიან მეფეებს, რომ მათი „მუხარე შრომა“ ამაოდ არ ჩაიკლის ისტორიისათვის, მომავალი თაობებისათვის.

პოეტი-დეკაბრისტი ოდოევსკი პუშკინის მიმართვაზე დეკაბრისტების პასუხში წერდა წინასწარმეტყველურ სტრიქონებს, რომ „ნაპერწკლისაგან იმავეა ალი“ — სტრიქონებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, ლენინმა გაზეთ „ისკრის“ ეპიგრაფად გამოიყენა.

სხვა ეპოქაში, სხვა ისტორიულ პირობებში, სხვა კლასობრივმა ძალებმა განხორციელეს დიდი პოეტის მიმართვით შთაგონებული ეს განაჩენები. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, სათავეში ჩაუდგა ხალხის მასებს და ისტორიაში პირველად წაიყვანა ისინი ძლევამოსილი რევოლუციური ბრძოლის გზით. „...ლენინის მიერ დანთებული „ნაპერწკლიდან“ („ისკრიდან“) შეიდგება აინთო დიდი რევოლუციური ხანძრის ალი, რომელმაც სულერთიანად გადაბუგა მეფის თავადაზნაურულ-მემამულური მონარქია და ბურჟუაზიული ხელისუფლება“, — წერდა ამხანაგი სტალინი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“.

პუშკინი ჩვენი ხალხისათვის ძვირფასია იმით, რომ მას უნარი შესწევდა ჩასწვდომოდა ხალხს სულში — თავისუფლებისმოყვარე დევგმირულ სულში, ხალხს, რომელსაც ისტორიამ კაცობრიობის განთავისუფლების დიადი მისია განუმზადა. ბელინსკის სიტყვით, დიდი პოეტის ენერგიული, მძლავრი გულისწყრომით აღსავსე ხმა, მისი მგზნებარე, კეთილშობილური პათოსით გამსჭვალული სიტყვა აღვიძებდა რუსეთის საუკეთესო შვილთა შეგნებას, ადიდებდა თავისუფლებას, გმობდა მეფის თვითმპყრობელობის უხამსობას, ცეცხლს აღუგზნებდა გულში ადამიანებს, ასულდგმულებდა მათ რწმენას „ცრუ სიბრძნეზე“, ნამდვილი გონების გამარჯვებისადმი, წყვდიადზე მზის გამარჯვებისადმი.

საუკუნენახევარი გავშორებს იმ დღეს, როცა პუშკინი დაიბადა. მაგრამ პროგრესული იდეები არ ძველდება, დავიწყებას არ ეძლევა.

განა უსახეოროდ მკვეთრად, განსაკუთრებით სადღესასწაულო არ გაისმის, მაგალითად, პუშკინის მრისხანე სიტყვები, რომლებიც გმობენ ყბადაღებულ მოჩვენებითის ფარისევლურ ამერიკულ „დემოკრატიას“, რომელიც ფარავს ფულის ქისის ყოვლისმძლეობასა და ბატონობას:

> „განცვიფრებით დავინახეთ დემოკრატია და მისი სახიზღარი ცინიზმი, მისი სასტიკი ცრურწმენანი, მისი აუტანელი ტირანობა. ყოველივე კეთილშობილური, უანგარო, ყოველივე ის, რაც ამაღლებს ადამიანის სულს — უარმოგელი ეგოიზმითა და კმაყოფილებისადმი (comfort) მისწრაფებით შეთესილია ...ზანგთა მონობა განათლებულობასა და თავისუფლებასთან ერთად; გეფალოგიური დევნა ხალხში, რომელსაც თავდაზნაურობა არა ჰყავს; სიხარბე და შური ამომრჩეველთა მხრივ; სიმხდალე და პირმთნეობა მმართველთა მხრივ... ასეთია ამერიკის შტატების სურათი, რომელიც ამას წინათ წარმოგვიდგენეს“.

რა მგზნებარე და გამანადგურებელი სპარალდები აქვია თანამედროვე ამერიკელ რეაქციონერთა წინააღმდეგ, რომლებმაც უკიდურესობამდე მიიყვანეს XIX საუკუნის ბურჟუაზიული ამერიკული ცრუდემოკრატიის ყველაზე უარყოფითი მხარეები.

საბჭოთა პატრიოტებისათვის განსაკუთრებით გასაგები, მახლობელი და ძვირფასია პუშკინი იმიტომ, რომ მას მგზნებარედ უყვარდა საშობლო, მტკიცედ სწამდა ჩვენი ხალხის დიადი და სახელოვანი თავისუფალი მომავალი. ამ მომავლისათვის პუშკინი მოუწოდებდა თავისი და მომავალ თაობებსაც არ დაეზოგათ ძალღონე, დაუფლებოდნენ

> ვიდრემდის ზეგნის წყურვილით
> ვსუნთქავდეთ,
> ბატონობენ ჯიდრე ძალის გული,
> ძმათ, საყვარელ საშობლოს ვემღერნთ,
> ულამაზესი ხრახვანი სულის.

რა მახლობელია ეს მგზნებარე სტრიქონები თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, რადგან სოციალისტური საშობლოსადმი, საშობლოს სახელისადმი მიძღვნილია მთელი მისი სულის მისწრაფებანი, მისი შრომა, მისი შემოქმედება, მიძღვნილია ყველაზე უძვირფასესი რამ, რაც მას მოეპოვება — სიცოცხლე!

თავის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პატრიოტულ ლექსს პუშკინმა უწოდა „მათ, ვინც რუსეთს ცოლს სწყრებს“. გულისწყრომითა და აღშფოთებით გმობდა პოეტი ყველა უცხოელ „ენა მბეჭრეს“, რომელნიც რუსეთს „შეჩვენებით“ ემუქრებოდნენ, რომელთაც სძულდათ რუსეთი. ლაპარაკობდა რა ამ სიძულვილზე, პუშკინი გულისწყრომით ეკითხებოდა მათ ამ სიძულვილის მიზეზებზე.

> იქნება იმიტომ ვსურთ ჩვენი ვნება,
> რომ ჩვენ მოსკოვის ალბოდებულ,
> ნგრეულ
> თაღებთან
> არ ვეცინთ მისი თავზედან ნეცა,
> ვინც თქვენ მონურად გიეაზეკებენდათ?
> მისთვის ხომ არა, რომ მოვსპეთ ნისლი,
> რომ სამეფოთა მტანჯველ ურჩხელს
> წყვეტეთ თავი
> და მოვუპოვეთ ევროპას სისხლით
> თავისუფლება, ღირსება, ზავი?..

უდიდესი უმადურობით უპასუხეს „ენამჭევრებმა“ რუსეთის ღვაწლს, რუსეთისას, რომელმაც 1812 წელს „საბალხო ომის კეტით“ ძოაშორა ევროპას ნაპოლეონის მიერ დადებული ხუნდი.

უდიდესი, აურაცხელი მსხვერპლის ფასად, ძილიონობით თავისი შვილის სიცოცხლის ფასად ჩვენმა საბჭოთა სამშობლომ, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ იხსნა ხალხები ჰიტლერული მონობის საფრთხისაგან, იხსნა ევროპისა და მსოფლიოს ცივილიზაცია, ჩაანქრო მაიდანეკებისა და ბუხენვალდების ჯოჯოხეთური ღუმელები, მისცა ხალხებს უდიდესი სიკეთე—შვიდდობა. მერე რა? რით გვიპასუხეს ახლანდელმა ბურჟუაზიულმა „ენამჭევრებმა“, რომლებიც ახალი ომის გამჩაღებელთა კარნახით წერენ? გაბოროტებული ლანძღვა-გინებით, ბინძური ცილისწამების ნიაღვრით, აღვირახსნილი ტექრიონი. შეიძლებოდა გვეკასუხნა ამ მარტაოტიტებისა და ცილისმწამებლებისათვის პუშკინის უკვდავი სიტყვებით: „მრისხანენი ხართ თქვენი სიტყვით — სცადეთ საქმითაც!“

საბჭოთა ხალხს ერთი რამ სურს — მშვიდობიანი შრომის, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის კეთების შესაძლებლობა. მაგრამ ამასთანავე მას მტკიცედ სწამს თავისი ძალები, და ამ რწმენას ვერ შეარყევენ ვერავითარი „ბაზეთის ენამჭევრები“, რომელთაც კაპიტალისტური მონოპოლიები არჩენენ. ეს „ენამჭევრები“ რომ ესოდენ უვაცენი არ იყვნენ, მათთვის კარგი იქნებოდა მოეგონებინათ ჩვენი პუშკინის სიტყვები:

> თუ ცოტანი ვართ? თუ პერმიდან თვით
> ტავრიდამდე,
> ფინეთის კლდიდან ალმოდებულ. ცხელ
> კოლხიდამდე,
> შეძრულ ერეკლიდან არ დაკარგეს რისხვა
> ეძრივ ჩინეთის კედლამდე მაგრად
> და მოეფინენ ფოლადის ჯაჭვად
> არ წამოდგება რუსეთის ბიწა?
> მოგზავნეთ—ვბრძანებ ეს ლაპარაკი — ომი,
> თქვენს ბოროტ ძალთა რაზმები სწორი,
> რუსეთის ვეღარ არის ალაგი
> მათთვის მახლობელ სფეროთა შორის.

პუშკინი მგზნებარე რუსი პატრიოტი იყო, მაგრამ იმავე დროს მისთვის უცხო იყო ნაციონალიზმი, იგი პატივს სცემდა სხვა ხალხებს, აფასებდა მათს კულტურას, მათს თავისუფლებისმოყვარე იდეალებს. საკმარისია მოვიგონოთ პუშკინის მეგობრობა დიდ პოლონელ პოეტ ადამ მიცკევიჩთან, რომელთან ერთად იგი ოცნებობდა სლავ ხალხთა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ძმობაზე, მოვიგონოთო, რა პატივსცემდა ეპყრობოდა იგი ფრანგ განმანათლებელთა, რა უაღრეს სიმპათიას ირჩენდა კავკასიის ხალხებისადმი, რა ცოცხალ ინტერესს იჩენდა საბერძნეთის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი.

აი რატომ გვიყვარს საბჭოთა ადამიანებს პუშკინი და რატომ ვცემთ მას პატივს. აი რატომ სცემს მას პატივს მთელი მოწინავე კაცობრობა, რომელიც ამყოფს იმ გაელენით, რაც პუშკინმა მთელ მსოფლიო ლიტერატურაზე მოახდინა. აი რატომ აღნიშნავენ სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში, აღნიშნავს მთელი მოწინავე კაცობრობა პუშკინის 150 წლისთავს, როგორც დიდ დღესასწაულს.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — ყოველივე იმ საუკეთესოს, ყოველივე პროგრესულის მემკვიდრენი ვართ, რითაც გაითქვა სახელი ჩვენმა სამშობლომ წარსულში. ჩვენ ეს მემკვიდრეობა კი არ დაგვიკარგავს, არამედ დიდად გავამრავლეთ იგი. ჩვენი სოციალისტური კულტურა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე კულტურაა, და ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ბადებ მსოფლიო ცივილიზაციის ჩირაღდანი, ყველაზე მოწინავე იდეების მედროშე.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ჩვენი სულის მთელ მისწრაფებებს, ჩვენი თავისუფალი შრომისა და შემოქმედების მთელ ძალას ვახმართ ამ იდეების — ლენინ-სტალინის დიადი ყოველსმძლე იდეების, კომუნიზმის იდეების განხორციელებას!

„პრავდის“ 6-VI მოწინავე.

ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გუშინ, 6 ივნისს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ღარნის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შედგა დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას დაესწრნენ ამხანაგები **კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, ვ. ზამბახიძე, კ. ციმაკურიძე, მ. ლელაშვილი,** მინისტრები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები, მწერლები, დიდაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საშეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი.

სცენის სიღრმეში აღმართულია ცოცხალი ყვავილებით შემკული პორტრეტი, ხალხთა საყვარელი პოეტის, რუსული პოეზიის მზის, ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინისა, რომლის ბრწყინვალე სერგის-ძე პუშკინისა, რომლის ბრწყინვალე შემოქმედებაც საუკუნეებს გადასწვდება.

საზეიმო სხდომას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის ჩამტარებელი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **სიმონ ჩიქოვანი.**

ამხ. ჩიქოვანი ლაპარაკობს იმ დიდ ინტერესზე, რომელსაც საბჭოთა ხალხი ირენს ხალხის შემოქმედებისადმი. საუკუნეზე მეტი ხანი გავშორებს პუშკინს, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ძვირფასი და მახლობელი ხდება პუშკინი საბჭოთა ხალხისათვის. პუშკინის გენიამ რუსული ლიტერატურა უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა. პუშკინი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ხმა აღიმაღლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ჰიმნი უმღერა თავისუფლებას. ამიტომ უყვარს პუშკინი თავისუფლებისმოყვარე საბჭოთა ხალხს, ამიტომ გაისმის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში უკვდავი პოეტის სადიდებელი.

ძვირფასი და ახლობელია პუშკინი ქართველი ხალხისათვის. პოეტმა მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმის ბატონობის ხანაში ინახულა საქართველო და ამ მებრძოლი ხალხის „გონებრივ ნიჭიერების დიდი განათლება“ უწინასწარმეტყველა. ასრულდა პუშკინის ნათქვამი. თავისუფალი ქართველი ხალხი ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნავს გენიალური პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავს.

ალექსანდრე პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა ამხ. **ვანო შადურმა.**

მოხსენება — პუშკინი საქართველოში — წაიკითხა პოეტმა-აკადემიკოსმა ამხ. **გიორგი ლეონიძემ.**

ა. ს. პუშკინისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა **გ. ცეცხლაძემ, ს. ეულმა, ი. ნონეშვილმა** და **ი. გრიშაშვილმა.**

დასასრულო გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა.

მოსკოვის მშრომელთა მიტინგი დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად

5 ივნისს მოსკოვში პუშკინის მოღვაწეს გადმბართა მშრომელთა მიტინგი დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად.

პოეტის ძეგლთან შეიკრიბნენ დედაქალაქის 25 რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. აქ იყვნენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები—მუშები და მწერლები, მეცნიერები და სტუდენტები, ხელოვნების მოღვაწენი, მასწავლებლები და მოსწავლეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. მიტინგს დაესწრნენ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების მრავალი წარმომადგენელი, უცხოელი სტუმრები, რომელნიც აქ ჩამოვიდნენ, რათა გამოხატონ უდიდესი პატივისცემა „რუსული პოეზიის მზისადმი“.

უნებლიეთ კვლავ და კვლავ გვაგონდება, აწ უკვე წოსსწარმეტყველური, გულში ჩამწედომი სტრიქონები დიდი პოეტისა:

> „ძეგლი აღეფინა ხელთ ქნელნი, მარადიული,
> არ ბოეემდება ბაზა სახალხო, მისკენ
> ბილალი
> ძეგლის გრანიტის კვარცხლბეკის ბარაშენი
> უამრავი ცოცხალი ყვავილებია.

ალისფერ ჭაღოვანი ეკლარებს ცოცრი 1799-1949. ყოერის პუშკინის ტექტიტებზე დაწერილი რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებთა მელოდიები.

ტრიბუნაზე ბრიან სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივანი ა. ა. ფადეევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ს. ი. ვავილოვი, საკავშირო ა. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ი. ა. პარფენოვი და ნ. ბ. ფირიუბინი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისტი და აგიტაციის განყოფილების გამგე ფ. ტ. შუბოლოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნები ს. ა. ეოოლენნი, ა. ი. სკაჩეკი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ტ. ა. სელეზენოვი, მოსკოვის სოფლეო აღმასკომის თავმჯდომარე ბ. გ. ბელოლიეკი, მწერლები, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები, დიდი პოეტის შთამომავალი—მისი შვილიშვილი ალექსანდრა ს. ბ. პუშკინი და ე. ა. პუშკინი, ბალიშიშვილიშვილები—ნორჩი პიონერები ნატაშა და ოლეგი პუშკინები. ტრიბუნაზე ბრიან ფარეთვე ეცხოელი სტუმრები, მათ შორის 80 წლის დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსუ.

მიტინგი ბაზსნა ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის მიმწყობლი საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალურმა მდივანმა ა. ა. ფადეევმა. პირველი სიტყვა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მან მისცა პოეტ ნ. ს. ტიხონოვს.

— დღეს,—ამბობს იგი,—ბრწყინვალე საყოველთაო სახალხო დღესასწაულზე — ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის სახელოვანი ოუბილეს დღეს, ჩვენ გამოფენილნი დიდ გულითად სიყვარულს, მადლიერი შთამომავლობის მხურვალე სალამით მთელი ბრძოლა ბრიანელ ლიტერატურის უკვდავ ფუძემდებელს. ჩვენ მას პატივს ვცემთ დღეს სიხარულით აღსავსე მშვენიერ მოსკოვში, საბჭოთა ხალხის დედაქალაქში, რომელიც მას ესოდენ გულწრფელად და ღრმად უყვარდა, როგორც რუსეთის ერთგული შვილს, როგორც პოეტს:

> „მოსკოოი... რუსის გულს ამ სატყვაში
> რა ბეგერა აზრი ეგულისხმება
> და რა ბეგრს იგი გულს ეუბნება!“

დღეს ეს სტრიქონები განსაკუთრებული ძალით ეღერს, რადგან ჩვენ მას ეოეესალმებით მოსკოვში, ჩვენ, სტალინური ეპოქის ადამიანები, რომელებიც თავისუფალ ხალხთა ძმერ ოჯახში ვცხოვრობთ, მძლავრი საბჭოთა კავშირის ადამიანები. და ჩვენთან ერთად ბრძოლ ამ სახელს ამეორებენ მთელ ჩვენს თვალეუწვდენ საბჭოთა ქვეყანაში

მან შემმენა რუსული ლიტერატურული ენა, ახალი რუსული ლიტერატურა, მოუნავეე, რეალისტური, თავისუფლებისმოყვარული. იგი მას ესსაურებოდა „პოეტური შრომის დაუცხრომელი. გმირობით, ეს გმირობა მან შმობლიერ ხალხს მიეძღვნა.

პუშკინს სწამდა, რომ დადგებოდა დრო როცა—

> „ალმდგომები ხალხი ბალეიმეული
> და თვითნებობის ტახტის ნანგრევზე
> დაწერს ჩვენს სახელს გამარჯვებული!“

დიდება დიდ გენიოს, ჩვენს სიხარულსა და სიამაყეს — ალექსანდრე პუშკინს! დიდება ჩვენს დიდ სამშობლოს, რომელიც ბუმბერაზი სულის ადამიანებს წარმოშობს.

ტრიბუნაზეა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ტ. ა. სელეზნოვი.

— ჩვენთვის, მოსკოველებისათვის,—ამბობს იგი,—პუშკინი განსაკუთრებით ძვირფასია. ჩვენ ვამაყობთ, რომ ყველა დროისა და ხალხის უდიდესი პოეტი, თავისუფლების მგზნებარე მომღერალი ბოლოდროინდელ მოსკოვში, აქ გაატარა ბავშვობა, რამაც ულრმესი კვალი დაანარა მთელ მის შემოქმედებას. პუშკინს უსაზღვროდ უყვარდა ჩვენი დიდებული ქალაქი. მან უძღვნა მას არა ერთი მომხიბლველი სტრიქონი. მოსკოვი ოუოეის ბეღელი. პუშკინს ესმოდა, თუ რა მნიშვნელოვანს ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოსათვის მოსკოვს, რომელმაც არა ერთხელ გადაარჩინა რუსეთი ეუცხოელ დამპყრობთა შემოსეოეისაგან.

საბჭოთა ხალხი წმიდად ინახავს თავისი დიდი პოეტის ხსოვნას. პუშკინის შემოქმედებაზე აღიზარდა რუს რევოლუციონერთა მრავალი თაობა. თავისი ხალხის ბრწყინვალე მომავლისათვის ებრძოდნენ ბრძოლებს ფრთა ადამფრთოვნებდა პოეტის მგზნებარე პატრიოტიზმი, ფიცი, გატაცებით მოემეფდა, ეულრმესი აზრებით, თავისუფლების ტრფიალით და „ამაყი ოცენებით გამსჭვალული, საშობლოსადმი ზოლერთული სიყვარულით გამსჭვალული პუშკინი ახლაც გვეხმაურება, დიდი საშობლოსადმი სიყვარულით ადამიანებს ჩვენს გულს. პუშკინი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს ეკუთვნის, რადგან ისინი მასში რუსი ხალხის ძლიერი სულის განსახიერებას ხედავენ.

ჩვენს ხანაში, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ხანაში ჩვენი საშობლოს ყველა ხალხი, მათ შორის უკრაინელი ხალხიც თავლინჩინითი უფროსხლოდება და განამტკიცებს ძმურ მეგობრობას დიდ რუს ხალხთან. და გენიალური პოეტისადმი, მოაზროვნისადმი, თავისუფლებისათვის მებრძოლის—ეკუდგი პუშკინისადმი ეულრმესი სიყვარული გამსჭვალული მადლიერი ეურინელი ხალხი სულით და გულით ამბობს ღიღს: „დიდება რუს ხალხს, რომელმაც პუშკინი წარმოშვა! დიდება პუშკინს, მარად ჩაუქრობელ ზმეს! გიმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას! გიმარჯოს დიდ სტალინს!“

ქართველი ხალხის სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ა. ხოჭავამ.

— პუშკინი ძვირფასია და საყვარელია როგორც გენიალური განსახიერება დიდი რუსი ხალხის ბერძოლილი სულისა და შემოქმედებითი ძლიერებისა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი საშობლოს ყველა ხალხს მტკიცედ მოეძღვის კაკაბრობის ბრწყინვალე მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ქართველი ხალხი მოწიწებით, ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ხრის თავს დიდი ხალხის დიდი შვილის უკვდავი სახელის წინაშე. ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოს ბეღელ ვამაყობენ, ხალხთა ძმობა ლენინ-სტალინის ნაწარმოებებს, ბერძოდან იცის ბისი ლექსები, პუშკინი თავის მამლობელ და მშობლიურ მეგობრად მიიჩნია.

სტატეა ეძღვნა მოსკოველ უნივერსიტეტის სტუდენტს ვ. ვ. ნოკოლაევს.

— პუშკინი ჩვენთვის მუდამ ახალგაზრდა თანამგზავრი, ცოდნის ცოცხალი წყაროა,—ამბობს იგი.—ამიტომ დიდი პოეტის ოეკნილეს დღეს ჩვენ ვამბობთ:—იგი ჩვენთანაა, ის მთელიანად ჩვენია, სიუეტენანგერის შემდეგ იგი ხელ ვეიწყვილ და გვეეტნესენ: „ამბარჯგვეა, ახალგაზრეა, უცნობი თაობავ!“ ჩვენ შეგვიძლია პუშკინზე ვთქვათ მგზნებარის სტატეები, რომელებთაც ა. მ. გორკი მიმართავდა გაბედულ შეკითხვებს:

„შენ მოკვდი!... მაგრამ გაბედული და ძლიერი სულის ადამიანთა სიმღერანში შენ მუდამ ცოცხალი მაგალითი ხქნები, მუდამ ამაყად მოეწერდეს თავისუფლებისაკენ, სინათლისაკენ!“

სტატეა მიეცა მოსკოველ ოლეის უტბიმსკის რაიონის ოქტომბრის მე-12 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის ბერონს ბერონ ა. ს. მოროზოვს

— პუშკინს მგზნებარედ სურდა თავისუფალი და განთავისუფლა ენახა თავისი საშობლო,— ამბობს იგი.—მისი სანეკვარი ოცენება სავსებით ასრულდა. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა ახალი ცხოვრება აშენა. სრულიად ეცვალა სახე საბჭოთა სოფელმა. ჩვენს კოლეეერეობებში არ არის ოჯახი, სადაც პუშკინის ნაწარმოები არ იყოს, სადაც არ ეთხოვდნენ ზნა შოაგონებელ სტრიქონებს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პუშკინით, რომელიც ტალანტს თაყვანს სცემს მთელი მსოფლიო. ჩვენ პატივს ეცემთ და ღრმად გვიყვარს იგი ამისათვის, რომ ის ჩვენი საშობლოს გულწრფელი პატრიოტი იყო,

ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ იან ფრდამ სიტყვა წარმოთქვა რუსულ ენაზე.

მე ბედნიერი ვარ,—თქვა მან.—რომ შემიძლია ჩეხოსლოვაკიის ხალხთა სახელით თქვენთან ერთად პატივი ვცე პუშკინის უკვდავი გენიის ხსოვნას. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ზეიმი სოციალისტური კულტურის ტრიუმფის მომასწავებელია.

პუშკინის დიადი ქმნილებანი მეუფის რუსეთის ხალხებს მოუწოდებდნენ თავისუფლებისათვის საბრძოლველად. თავისუფლეკა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა ბრძოლით მოიპოვეს, მსოფლიოს ყველა ხალხს ადაფრთოვანებს კაცობრობის საბოლოო განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ახალი ღიმოკრატიის ქვეყნების ხალხები, რომელსაც სახელოვანმა სპჰეთა არმიამ თავისუფლება მინაბეა, უდიდესი მადლობის გრძნობით გამოიკეენებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილებას.

დიდება დიდ პუშკინს! დიდება დიდ სტალინს! პუოკაგორეთის მწერლების სახელით სიტყვა წარმოთქვა ბოტმა ლიქიტერ პოლიანოვმა. ძან ზოიკითხა დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინისადმი მიძღვნილი თავისი ლექსები.

მიტინგი დამთავრდა. დედაქალაქის მშრომელებმა მოეფინენ დატოვეს, მოწიწებით ჩაუარეს ა. ს. პუშკინის, ყველა დროისა და ხალხის გენიალური პოეტის ძეგლს.

მიტინგში მონაწილეობა მიიღო 10 ათასზე მეტმა კაცმა. (საკდესა).

იქ, სადაც მუშაობენ მ. როქნერეა და ლ. კონონენკო

კუკაანეა (მოსკოვის ოლქი). (საკდესი). მაისის ორ დეკადაში კუკაანის ფაბრიკის წარჩინებულმა სტახანოველებმა მარიამ როქნერეამ და ლიდია კონონენკომ ახალ წარმატებებს მიაღწიეს. მ. როქნერეამ, რომელიც წინანდელზედაც მხოლოდ საუკეთესო პროდუქციას იძლეოდა, ნარჩენები შეამცირა გეგმით გათვალისწინებული 3,5 პროცენტიდან 0,76 პროცენტამდე, ხოლო ლ. კონონენკომ გეგმით გათვალისწინებული 4,85 პროცენტიდან—0,67 პროცენტამდე.

— ვიმუშაოთ ისე, როგორც მარიამ როქნერეა და ლიდია კონონენკო მუშა

პარტიული ცხოვრება

კონსულტანტების მუშაობის გამოცდილებიდან

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითად მეთოდს, როგორც ცნობილია, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს. თეორიის დამოუკიდებლად შესწავლა მოითხოვს როგორც სათანადო პოლიტიკურ, ისე ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას და წიგნზე სისტემატურ, თანმიმდევრულ მუშაობას.

განათლების სამინისტროს აპარატის 79 მუშაკი, მათ შორის 59 კომუნისტი, დამოუკიდებლად სწავლობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებების მიხედვით. მათ დასახმარებლად გამოყოფილია 10 კონსულტანტი.

მე კონსულტაციას ვუწევ 8 კაცს, რომლებიც პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მუშაობენ. ამათგან 3 სწავლობს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", 5 კი — საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა მიხედვით.

მთავარია მუშაობის სწორად დაგეგმვა, ამისათვის ამხანაგებთან წინასწარ მოვაწყე საუბარი. თვითეულ მათგანს დაურიდა შესასწავლი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია და მიეცა რჩევა, თუ როგორი გეგმის მიხედვით უნდა შეესწავლა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეული ნაწარმოებები, როგორ უნდა შეედგინა სამუშაო გეგმა და სხვ.

ამ-ეამად თვითეული ამხანაგი მუშაობს მტკიცე ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. ამ გეგმებში გათვალისწინებულია შესასწავლი თემები, ნაწარმოებების სახელწოდება და შესწავლის ვადები. ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შესწავლა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გათვალისწინებული.

აშკარაა, რომ ძნელია წინასწარ ზუსტად განსაზღვრა იმ ვადისა, რა დროშიც შესწავლილ უნდა იქნას ესა თუ ის ძასალა, მაგრამ ამისი განსაზღვრა დაახლოებით მაინც შესაძლებელია და აუცილებელიც. ამისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შესასწავლი მასალის სირთულე და დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგის უნარი და მომზადების დონე.

იმ ამხანაგებს, რომლებსაც მე ვუწევ კონსულტაციას, ინდივიდუალური სამუშაო გეგმები შედგენილი აქვთ ერთი წლის ვადით. თვითეული ამხანაგის გეგმა სამ ცალად დგება: ერთი ცალი აქვს პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს, მეორე კონსულტანტს და მესამე თვითონ დამოუკიდებლად მომუშავეს.

მე, როგორც კონსულტანტს, დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების მიერ შედგენილი ინდივიდუალური გეგმების მიხედვით განსაზღვრული მაქვს, თუ როდის უნდა შეეხვიე თვითეულ მათგანს კონსულტაციისათვის.

იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ამხანაგს, რომლებიც ერთსა და იმავე საკითხებზე მუშაობდნენ, ერთად ვუწევდი კონსულტაციას, მაგრამ გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ეს ნაკლებ შედეგს იძლევა: არ ხდება თვითეულის ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა გათვალისწინება, კონსულტანტსაც არ ეძლევა შესაძლებლობა ზუსტად გაიგოს, თუ ვინ როგორ მუშაობს. ამიტომ ძირითადად ინდივიდუალურ კონსულტაციას ვატარებ. კონსულტაციათა რიცხვი იმის მიხედვით არის განსაზღვრული, თუ რა მოცულობისა და სიძნელისაა შესასწავლი მასალა, რა დახმარებას საჭიროებს ესა თუ ის ამხანაგი. ერთს გაცილებით მეტი დახმარება ესაჭიროება, მეორეს შედარებით ნაკლები. თვითეულმა ამხანაგმა იცის, თუ რა დროს მოვიდეს კონსულტაციისათვის, მაგრამ სხვა დროსაც მოდიან ისინი, როდესაც ამის საჭიროებას მასალის შესწავლა მოითხოვს.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები, როგორც წესი, ყოველ შესწავლილ საკითხზე ადგენენ კონსპექტს, რომელსაც ვეცნობი კონსულტაციის დაწყებამდე. კონსპექტში მოკლედ არის გადმოცემული შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები. კონსულტაციის დროს საუბრით ირკვევა, თუ როგორ იქნა შესწავლილი ნაწარმოები, რა საკითხები არ არის გაგებული მთლიანად. საკონსულტაციოდ მოსული ამხანაგები ჯერ თვითონ აყენებენ მათთვის გაუგებარ საკითხებს. შემდეგ მე თვითონ ვსვამ კითხვებს თემის საკვანძო საკითხებზე. ამ კითხვების მიზანია არა გამოცდა, არამედ გარკვევა იმისა, თუ რამდენად შეითვისა ამა თუ იმ ამხანაგმა ესა თუ ის ნაწარმოები, რამდენად ღრმად ჩასწვდა საკვანძო საკითხებს. მაგალითად, ამხ. ჯავჯანიძემ კონსულტაციაზე „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მე-3 თავის შესწავლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მან კარგად ვერ გაიგო ბოლშევიკების მიერ პირველი სათათბიროსადმი ბოიკოტის გამოცხადების საკითხი და საკითხი პროლეტარიატის მოკავშირეების შესახებ რევოლუციის როგორც პირველ, ისე მეორე ეტაპზე. ამ საკითხების განმარტების შემდეგ მე თვითონ დავაყენე რამდენიმე კითხვა: როგორი რევოლუცია იყო თავისი შინაარსით 1905 წლის რევოლუცია, რით განსხვავდება 1905 წლის რევოლუცია მანამდე მომხდარი ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან, რატომ არ შეიძლებოდა, რომ 1905 წლის რევოლუციის ბელადი ყოფილიყო ბურჟუაზია და სხვ. ამ კითხვებმა გამოარკვია, რომ ამხ. ჯავჯანიძეს ძირითადად სწორი წარმოდგენა ჰქონდა. შესასწავლ საკითხებზე, მაგრამ მაინც საჭირო იყო ყურადღების გამახვილება მთავარ მომენტზე. საუბრის შედეგად ამხ. ჯავჯანიძისათვის ნათელი გახდა, რომ, მართალია, 1905 წლის რევოლუცია თავისი ხასიათით ბურჟუაზიული იყო, რადგანაც მის უშუალო ამოცანას შეადგენდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობა, მეძალოვანთა მიწების ჩამორთმევა, ბატონყმობის ნაშთების მოსპობა; მაგრამ 1905 წლის რევოლუცია მიმდინარეობდა სულ სხვა პირობებში, დასავლეთში მომხდარ რევოლუციებთან შედარებით, მის მამოძრავებელ ძალებს სულ სხვა კლასები შეადგენდნენ, ბრძოლის მეთოდები 1905 წლის რევოლუციის დროს სულ სხვა იყო. ამხ. ჯავჯანიძე კარგად გაერკვა იმაში, რომ 1905 წლის რევოლუცია იყო სახალხო რევოლუცია, რომ მის მთავარ მამძრავებელ ძალებს ორი კლასი — პროლეტარიატი და გლეხობა შეადგენდა, რომ ამ რევოლუციის გამარჯვებით დაინტერესებული იყო რუსეთის მთელი მოსახლეობა, რომ ეს რევოლუცია მიმდინარეობდა იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც რუსეთში პროლეტარიატი ორგანიზებულ კლასს წარმოადგენდა და ჰყავდა მოწინავე იდეოლოგიით შეიარაღებული ახალი ტიპის პარტია, რომ ბურჟუაზია 1905 წლის რევოლუციაში კონტრრევოლუციურ ძალას წარმოადგენდა და იგი რევოლუციის ჰეგემონი, ბელადი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ჩატარებული კონსულტაციების აღრიცხვას ვაწარმოებ ცალკე რვეულში, სადაც აღინიშნება—როდის ჩატარდა კონსულტაცია, რა თემაზე, რა საკითხებზე, როგორი ცოდნა გამოამჟღავნა კონსულტაციაზე მოსულმა პირმა.

როდესაც ერთ რომელიმე ნაწარმოებს რამდენიმე ამხანაგი შეისწავლის, ამ შემთხვევაში მათთან ვატარებ თეორიულ გასაუბრებას ამ ნაწარმოების გარშემო. ამ გასაუბრების დროს ამხანაგები თვითონვე სვამენ კითხვებს. ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და საკითხის დაზუსტება. ასეთი თეორიული გასაუბრება დიდ ნაყოფს იძლევა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე იზრდება ინტერესი ნაწარმოებთა ღრმად შესწავლისადმი. თეორიული გასაუბრების მოწყობის დროს ვსაზღვრავთ ინდივიდუალური სამუშაო გეგმების მიხედვით. მაგალითად, სამი ამხანაგი, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", შეიკრიბება თეორიულ გასაუბრებაზე იმის შემდეგ, როდესაც თვითეულ მათგანს დამუშავებული ექნება ესა თუ ის თავი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან". შესწავლის დამთავრების ვადები შესაძლებელია არ დაემთხვეს ერთმანეთს. შესაძლებელია იმ დროს, როდესაც ორმა ამხანაგმა პირველი თავის შესწავლა დაამთავრა, მესამე კი სწავლობს მეორე თავს, მათთვის მოეწყოს თეორიული გასაუბრება პირველი თავის გარშემო.

თეორიული გასაუბრების აღრიცხვას ვახდენ ცალკე რვეულში, სადაც შემაქვს გასაუბრების თარიღი, თემა, ვინ დაესწრო გასაუბრებას, ვინ მიიღო მონაწილეობა საკითხების განხილვაში, რა საკითხებს შეეხო გასაუბრება.

კონსულტანტს მუშაობა უადვილდება, როდესაც მასთან მიმაგრებული ამხანაგები დაახლოებით ერთნაირ საკითხებზე მუშაობენ და როდესაც მათ დაახლოებით ერთნაირი ზოგადი და პოლიტიკური მომზადება აქვთ. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს კონსულტანტთან დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების მიმაგრების დროს.

თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგების მიერ რეფერატების შედგენა კიდევ უფრო ადრმავებს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, ხელს უწყობს ნაწარმოების ღრმად შეთვისებას. განზრახულია გვაქვს უახლოეს დროში განვიხილოთ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების მიერ მომზადებული რეფერატები. აქვე უნდა ითქვას, რომ სამინისტროს პარტიული ორგანიზაცია საჭიროსად ეხმარება კონსულტანტებს, პარტბიუროს სხდომებზე წმირად ისმენენ მათ ინფორმაციებს, სახავენ ღონისძიებებს, ეს ეხმარება კონსულტანტებს მუშაობის უკეთესად მოწყობაში.

კონსულტანტს ხდება და სერიოზული მოვალეობა აკისრია. ამ მოვალეობის წარმატებით შესრულების მტკიცე პირობაა კონსულტანტის სისტემატური მუშაობა თავის თავზე. ამასთან კონსულტანტი ყოველ ახალ მოვლენას უნდა იცნობდეს, ყოველთვის მზად იყოს ამომწურავი პასუხი გასცეს დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების მიერ აღძრულ საკითხებს, ნამდვილად ეხმარებოდეს მათ თეორიული დონის ამაღლებაში.

ვცდილობ ამ მოთხოვნათა სიმაღლეზე ვიდგე.

ი. ბეროზაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

ბუნების დიდი გარდამქმნელი

(ი. ვ. მიჩურინის გარდაცვალების XIV წლისთავის გამო)

დღეს 14 წელი შესრულდა ბუნების დიდი გარდამქმნელის ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინის გარდაცვალებიდან.

გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ი. ვ. მიჩურინმა მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და უდიდესი ენერგია მოახმარა ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყვანის, დანერგვისა და უხვი მოსავლის მოყვანის საქმეს. მან შექმნა 350-ზე მეტი ახალი ჯიშის მცენარე.

ი. ვ. მიჩურინი მუშობდა და ცხოვრობდა ხალხისათვის. მას ხალხი უყვარდა მთელი მგზნებარებით.

მეფის რუსეთში მიჩურინს ფართო მოღვაწეობის საშუალება არ ჰქონდა. მას არათუ მხარს არ უჭერდნენ, არამედ მეფის მოხელეები ხელს უშლიდნენ, ყოველმხრივ ავიწროებდნენ. მაგრამ ვერც გაჭირვებამ, ვერც მეფის სატრაპების შევიწროებამ ვერ მოდრეკა მიჩურინის რკინისებური ნებისყოფა, ვერ შეარყია მისი რწმენა, რომ მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანა მშრომელი ხალხის კეთილდღეობის საქმეს ემსახურებოდა.

ჩვენი დროის დიდი ბიოლოგი მიჩურინი მცდელის ფიზიზელი თვალით ღრმად იჭრებოდა ბუნების საიდუმლოებაში, ოსტატურად იყო დაუფლებული მცენარის ფორმათა წარმოქმნის პროცესებს და დაუღალავად იბრძოდა ახალი ჯიშების წინ წასაწევად ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში. იგი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი-ექსპერიმენტატორი ხელმძღვანელობდა პროგრესული რევოლუციური იდეებით.

მიჩურინი იყო რუსი ხალხის ერთგული შვილი, საშობლოს მგზნებარე პატრიოტი, რომელიც ყველაფერზე მაღლა ხალხის ინტერესებს, მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვას აყენებდა. 1913 წელს მას ესტუმრა ამერიკის წარმომადგენელი, რომელმაც გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების დეპარტამენტის ინტროდუქციული გასაყიდელების გამგის წერილობითი წინადადება, რათა მიჩურინს მათთვის მიეყიდა თავისი ჯიშების კოლექცია. მიუხედავად დიდი ხელმოკლეობისა, მიჩურინმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადა, რადგან მის მიერ გამოყვანილი ახალ ჯიშებს საშობლოს საკუთრებად, ხალხს საკუთრებად თვლიდა.

42 წელი იმუშავა მიჩურინმა მეფის რუსეთში, სადაც მეფის უუნარო მოხელეები აწამებდნენ მეცნიერებს. შეგიწროებისა და დაბრკოლებების მიუხედავად, მიჩურინმა დიდი მუშაობა გასწია ცენტრალურ რუსეთში მეხილეობის განვითარებისა და ახალი კულტურების გასავრცელებლად.

მიჩურინის მოძღვრების დიდი გასაქანი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა. ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მიჩურინის, როგორც თანამედროვეობის დიდი ბიოლოგის, შესანიშნავი კვლევარისა და ბუნების გენიალური გარდამქმნელის ნიჭი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მიჩურინი მივიდა სამაზრო მიწგანში და უთხრა, მზად ვარ ახალი ხელისუფლებისათვის ვიმუშაოო. 1918 წლიდან ის უკვე საბჭოთა სახელმწიფოს სახსრებით მუშაობს.

თუ არა საბჭოთა წყობილება, მიჩურინი, როგორც თვითონ წერდა თავის თავზე, „მეფის რუსეთში ექსპერიმენტული მებალიობის შეუმჩნეველი განდეგილი" იქნებოდა.

დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა აღმოაჩინეს ი. ვ. მიჩურინი და საბჭოთა ხალხის კუთვნილება გაბადეს მისი შესანიშნავი მოძღვრება. ლენინისა და სტალინის მამობრივი მზრუნველობით მიჩურინმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა აგრობიოლოგიას.

მიჩურინის დიადი მატერიალისტური მოძღვრება ბუნების გარდაქმნაში ჩვენი ცოდნის საგანძურში, მეცნიერებაში შევიდა, როგორც ოქროს ფონდი.

მიჩურინის ბაღში ორჯერ ეწვია მიხეილ ივანეს-ძე კალინინი და გაეცნო მის შუშობას. 1932 წლის 18 მაისს ქ. კოზლოვს ეწოდა მიჩურინსკი. 1934 წლის 20 სექტემბერს ჩვენმა ქვეყანამ იდღესასწაულა მიჩურინის დაბადების 80 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავი. თავისი იუბილეს წინ, 18 სექტემბერს, მიჩურინი წერდა დიდ სტალინს, თუ როგორ მძიმე იყო მისი ცხოვრება, თუ რა სასტიკ პირობებში უხდებოდა შუშობა ცარიზმის დროს და სანამდე ამაღლდა ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იუბილარმა დიდი სტალინისაგან მიიღო მისალმება, რომელშიც ნათქვამია: „სულით და გულით მოგესალმებით, ივანე ვლადიმერის-ძევ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ თქვენი ნაყოფიერი შუშობის მესამოცე წლისთავთან დაკავშირებთ.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს მეხილეობის გარდაქმნის საქმეში.

მაგრად გართმევთ ხელს".

მიჩურინი დიდად აღფრთოვანა ამხანაგ სტალინის მისალმებამ და სპასუხო დეპეშაში წერდა ბელადს, რომ ეს მისალმება წარმოადგენდა მისთვის ყველა ძვირფას ჯილდოთა შორის უძვირფასეს ჯილდოს.

ი. ვ. მიჩურინი უზომოდ აღფრთოვანებული იყო იმ მზრუნველობის გამო, რასაც მისდამი იჩენდნენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლები.

მიჩურინი წერს, რომ ადვილად და ღრმად გაიგო მისი მუშობა და სოციალისტური ცხოვრების საგზური მისცა მას დიდმა ლენინმა.

„საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ თქვენი ხელმძღვანელობით,—წერდა ი. ვ. მიჩურინი ამხანაგ სტალინს,—მეც გადამაქციე ერთეული მცდელიდან, რომელსაც ოფიციალური მეცნიერება და მიწათმოქმედების სამეფო დეპარტამენტის მოხელეები არ ცნობდნენ და აბუჩად იგდებდნენ, ასეული ათასობით მცენარეზე ცდების ხელმძღვანელად და ორგანიზატორად".

1935 წლის 7 ივნისს ი. ვ. მიჩურინი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულ იქნა ქ. მიჩურინსკში.

ი. ვ. მიჩურინი მოწმინავე საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების კორიფეა. მიჩურინის მოძღვრება მეცნიერული ბიოლოგიის საფუძველია. ჩვენი დროის დიდმა ბიოლოგმა თავისი ბრწყინვალე გამოკვლევებით და ისტორიაში უმაგალითო პრაქტიკული მიღწევებით დასაწყისი მისცა მატერიალისტური ბიოლოგიის ახალ ეტაპს. მიჩურინის დევიზი ამბობს: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ეს წყალობა მას".

